# გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!


# ხაშურის მოამბე

№31 30 დეკემბერი, ოთხშაბათი, 2015 წელი


## გულწრფელად გილოცავთ!

ძვირფასო ხაშურელებო,ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით გულწრფელად გილოცავთ ახალ 2016 წელს!გისურვებთ წინსვლას,ჯანმრთელობას,ხვავსა და ბარაქას თქვენს ოჯახებში და სიხარულს თქვენს სულებში!

გასული წლის განმავლობაში ჩვენი მცდელობით და საქართველოს მთავრობის თანადგომით არაერთი სასიკეთო საქმის გაკეთება შევძელით. მათ შორის განსაკუთრებით გამოვყოფდი საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის მასშტაბურ პროექტებს,მუსიკალური სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ქუჩების მოასფალტებისა და კეთილმოწყობის პროექტებს, ქვიშხეთში, სურამსა და ხაშურში განხორციელებულ ნაპირსამაგრ სამუშაოებს, მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების პროექტებს და სხვ.

თუმცა, ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული რეალობა კვლავ დაუღალავ შრომას მოითხოვს. იმედი გვაქვს, მომავალ წელსაც, ერთობლივი შრომით და ურთიერთთანამშრომლობით შევძლებთ ჩვენი ქალაქი და მუნიციპალიტეტი უკეთესი გავხადოთ და კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ ქვეყნის აღმშენებლობის საშვილიშვილო საქმეში, რაც, რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენგანის პირად და ოჯახურ კეთილდღეობაზე აისახება!

გვჯერა, რომ ჩვენი მცდელობითა და თქვენი თანადგომით მომავალი წელი ხაშურისთვის მრავალი სასიკეთო სიახლის მომტანი იქნება!

გილოცავთ, იხარეთ და იბედნიერეთ მრავალჟამიერ!

**გიორგი გურასპაშვილი,**
ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

## ძვირფასო თანამემამულენო!

ძვირფასო თანამოქალაქენო, ძვირფასო ხაშურელებო! მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს გულწრფელად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. ეს დღესასწაულები მუდამ გამორჩეული იყო ქართველი კაცის ცხოვრებაში. ესაა იმედების, სიცოცხლის დაბადების, განახლების თუ ოცნებების ასრულების ერთგვარი ზეიმები და მინდა, 2016 წელი სწორედ ასეთი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისთვის. სულიერი სიმხნევე, ჯანმრთელობა და წინსვლა ყოფილიყოს ამ წელს თქვენი მუდმივი თანამგზავრი. მჯერა, ეს წელი ჩვენი ქვეყნისათვის და ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის აღმავლობის მძლავრი დასაწყისის წლად იქცევა და ერთად დგომით შევძლებთ იმ სანუკვარი მიზნის მიღწევას, რასაც საქართველოს გაბრწყინება ჰქვია.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

**ვაჟა შუბითიძე,**
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ვახსოვლავი, ჰომელიც 30 წლის წინ ანთო

# "ანსამბლ ისე არ მღერიან..."

2015 წლის 17 დეკემბერია. დღე, წმინდა ბარბარეს ხსენებისა. ხაშურის კულტურის სახლი მასპინძელია. დღეს აქ, ამ ლამაზ დარბაზში, არც რომელიმე ავტორის წიგნის პრეზენტაციაა და არც ცნობილი მომღერლის სოლო კონცერტი. ამ ადამიანებს, დღეს, თავი მხოლოდ და მხოლოდ

ეროვნული სულის ისეთმა ზეიმმა მოუყარა, ნებისმიერ დროს, ჭირსა თუ ლხინში ძალასა და მხნეობას რომ მატებდა ქართველს. ეს იყო ქართული ხალხური სიმღერის ზეიმი ხაშურში, რომელიც ანსამბლ „ხაშური"-ს 30 წლის იუბილესა და და მისი ვარსკვლავის გახსნას მიეძღვნა.

სცენაზე ხაშურის კულტურის ერთ-ერთი ამაგდარი, მუსიკოსი, სცენარისტი და საზოგადო მოღვაწე, ქალბატონი ნანი გაჩეჩილაძე ჩვეულ ამპლუაში გამოჩნდა:

'...შენ, თუ გინდა, სულ პიჩვეი მითხარი,

მე, თუ გინდა, სულ მეოხეს გეტყვი...~

მუსიკალურ ბგერათა ჰარმონიას მყის შეუერთდნენ და „მრავალჟამიერი"-ს დაგუგუნებით საღამოც გახსნეს ანსამბლის ჩოხოსანმა წევრებმა: როინ ხვედელიანმა, გია ბოლოკაძემ, ვასიკო ნემსაძემ, ნაზი გველესიანმა, ნიკა ბოლოკაძემ,ვანო ხიჩაკაძემ, თემურ თოთლაძემ და ანსამბლის ხელმძღვანელმა ალიკო ნემსაძემ, რომლისთვისაც ეს დღე განსაკუთრებული იმითაც იყო, რომ ამ საღამოს მას მხარს თავისი ქალ-ვაჟი უმშვენებდა. (ვასიკო ნემსაძე – ანსამბლის წევრი და კომპოზიტორი ლილიკო ნემსაძე

– სტუმრის სტატუსით).

ქალბატონი ნანი ანსამბლის ისტორიაზე დამსწრეთ ესაუბრებოდა არა მხოლოდ როგორც წამყვანი, არამედ როგორც თვითმხილველი მისი დაბადებისა და შემდგომ, უკვე, როგორც მისი შემოქმედებითი გზის თანამგზავრი.

სწორედ ნანი გაჩეჩილაძემ გადაიღო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ანსამბლ „ხაშურზე" 25 წლის წინ და, წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო სიყვარული და ინტერესი შენი ფესვის არგადაშენებისა,რომ 90-იან წლებში,როცა ერი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგა და მაინც ახალფეხადგმულ ხუთი წლის ანსამბლს,სიმღერა არ შეუწყვიტავს.

მონიტორზე ანსამბლის აწ გარდაცვლილი წევრებიც გამოჩნდნენ: ვოვა კიკნაძე, გოგი აბასაშვილი, ალეკო გუნცაძე, ომარ ხვედელიძე და ნოდარ ცუცქირიძე. (ეს სწორედ ის ნოდარია, რომლის ბანის მრავალხმიანობამ ერთ დროს ჯემალ ჭკუასელი აღაფრთოვანა).

წამყვანის თხოვნით,დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ანსამბლის გარდაცვლილ წევრებს. მეგობრებმა კი მათ ხსოვნას „შემოძახილი" მიუძღვნეს.

–როგორ შეიძლება ანსამბლის წარსულზე ისაუბრო და არ ახსენო ბუდღუ კიკნაძისა და ნათელა ფანქველაშვილის ოჯახი, რომელიც ანსამბლის სტუდიად იქცა. სწორედ იქ, მათ თვალწინ იბადებოდა ყოველი ახალი სიმღერა – მადლიერებით საუბრობდა ამ უანგარო ადამიანებზე წამყვანი.

განსაკუთრებით კი, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ თურმე ანსამბლის არცერთ წევრს მუსიკალური განათლება არ აქვს. მიუხედავად ამისა(ესაა თვითნაბადი ნიჭი!), თითოეული მათგანი ნებისმიერ ცნობილ ოპერაში ტენორის პარტიას შეჰბედავდა!

ანსამბლ "ხაშურს", რომელიც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე 30 წლის მანძილზე დამოუკიდებლად დგამდა ნაბიჯებს, რეპერტუარში 100-ზე მეტი სიმღერა დაუგროვდა. ამათგან, იმდენი სახის "მრავალ-

ჟამიერი", რამდენიც საქართველოს მუსიკალურ დიალექტებში არსებობს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ანსამბლ "ხაშურის" მეორე თაობის რამდენიმე წარმომადგენელი: ნიკა ბოლოკაძე,ვასიკო ნემსაძე და გიგა კაპანაძე. ისინი თავდაპირველად ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლ "გულმართალი ბიჭებით" წარსდგნენ საზოგადოების წინაშე, შემდეგ კი, გაითვალისწინეს მშობლების აზრი და ქართული ხალხური სიმღერის მადლსაც ეზიარნენ.

პირთამდე სავსე ფიალებს ჰგავდნენ ისინი.. და მერე, როცა

მონიტორიდან წასულებიც "შემოგვიერთდნენ", თითქოს ჩვენს თვალწინ გადაიშალა რაღაც ზეგანი, სადაც გვერდიგვერდ ჩამომსხდართ ვჭვრეტდით წარსულს, აწმყოს და მომავალს...

ქალბატონი ნანი შიგადაშიგ სტუმართა ვინაობას „გვიმხელდა" და სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ლამაზი სიტყვა, ლექსი, სიმღერა...

ვაჟა აზარაშვილი, ლილიკო ნემსაძე, მანანა დანგაძე, ნანა ცინცაძე, კვარტეტ „ალილოს" მომღერალი გია დავითიანი, „ერისიონის" ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი ანსამბლის წევრებთან ერთად. „ერისიონის" მენეჯერი, ჩვენი თანამემამულე ოთარ ბლუაშვილი, შიდა ქართლის რეგიონის კულტურის განყოფილების ყოფილი გამგე რობერტ მაღლაკელიძე და მისი კოლეგა გია საძაგლიშვილი.

ღონისძიებას ესწრებოდა და ანსამბლის წევრებთან ერთად დამსწრე საზოგადოება და ყოვლივე ქართველი დალოცა სურამ-ხაშურის ეპარქიის მეუფე-სვიმეონმა.

სტუმართა გვერდით, მასპინძლის ამპლუაში ისხდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელები და კულტურის სამსახურის წარმომადგენლები.

ანსამბლ "ხაშურის" წევრებს იუბილე მიულოცა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა. ერთი იყო ჩვენი შეხედულება იმის შესახებ,რომ ეს ადამიანები არამარტო ქართული სიმღერის, არამედ მეგობრობის სიმბოლოებადაც მოიაზრებიან ხაშურის სინამდვილეში.

ასევე, საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე გულთბილ და ამაღლებულ ფრაზებს არ იშურებდა და ერის სასიკეთოდ გადადგმულ ყველა ნაბიჯს, თანაც უანგაროს, გმირობასთან აიგივებდა.

ნელ-ნელა დარბაზიდან გადავინაცვლეთ ეზოში, სადაც განრთხმულ ვარსკვლავს მკერდზე ანსამბლის წევრთა სახელები ამოეტვიფრა.. ლამაზი ფეიერვერკი და ვარსკვლავიც აინთო, აინთო როგორც სიმბოლო ხაშურელთა მადლიერებისა ანსამბლის წინაშე და როგორც სიმბოლო ხელოვნებისათვის, ქართული სიმღერისთვის თავდადებული ქართველი ვაჟკაცებისა.

კლარა გელაშვილი

– ქინძის მონოლოგი –

# სააკაშვილი ვიყო, თუ ვინმეს შევარჩინო...

აფსუს, რა დრო მოვიდა!.. მე, ფლორის პრინცი, ამას ვიფიქრებდი, რომ საქართველოში ვინმეს საქილიკო გავხდებოდი? ა, რომ მოვითავე ყველა ვეგეტაციური პერიოდი, გავმრავლდი, დავმარცვლდი და უკვე მომავალი წლის გაზაფხულზე დავიწყე ოცნება, მაშინ ჩამცეს ლახვარი ამ ახვრებმა – ისეთ ცუდ კონტექსტში მომიხსენიეს, თავიდან არც დავიჯერე, რომ ეს ჩემზე თქვეს. არადა, ვინ? ჩემმა საყვარელმა ქართველებმა? რაც მე ამაგი თქვენზე მაქვს, ახი არ იქნება, რომ

ერთი კაცურად შეგიკურთხოთ? არამი იყოს ყველაზე, ვინც მე ცუდად მომიხსენია. არამი იყოს, ჩემით რომ ისწავლეს პირის გემო. არადა, რომ მოვინდომო, ხომ დავტოვებ ამ უბადრუკებს ჩაისა და პურის ამარა/! ერთი თუ ვთქვი უარი საქართველოზე, დადგნენ მერე და მიირთვან უქინძო ლობიო, უქინძო ჩაქაფული და უქინძო ჩიხირთმა. აღარც ჩაძმარულები ეღირსებათ, აღარც ისრიმ-მაყვალში ჩაწყობილი წიწილა და ქინძმრიან ლოქოზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

უხსოვარი დროიდან გემსახურებით, ხმელთაშუა ზღვის ნაპირებიდან ჩამოვედი და მას შემდეგ სულ ვიძახი, საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა-მეთქი და ამით მაფასებთ? მერქვა პატიოსნად ჯერ კიდევ ძველი ლათინებიდან შერქმეული სახელი „კირიანდრუმ სატივუმ“ (სატიველებმა არ დაიწყონ ახლა „ბლატავი“,– მაგის სამშობლო ჩვენი სოფელიაო – არაფერ შუაშია ეგ სოფელი ჩემს სახელთან), ჩამოვედი თქვენთან, თქვენ დამარქვით ქინძი და ახლა დამცინით? იმ ოდესელ მათხოვარს ვასწავლი მე ჩემს ქინძაობას, რა მჭირს მისი საღადაო?! მას და მის დანარჩენ ბანდას მთელი საქართველოს მოქინძვა რომ უნდოდათ და არ გამოუვიდათ, ახლა მე მომდგნენ? ბავშვებს თვალებში ვეღარ ვუყურებ – სახლში მოვალ თუ არა, შვილები მეკითხებიან: –მამი, შენ დიდი ქინძი ხარ და ჩვენ პატარა ქინძუკებიო? ვეღარც ვხვდები, რა კონტექსტით მეკითხებიან და ბოდმა მახრჩობს.

აღარ მინდა ახლა ბევრი ლაპარაკი. ვაფრთხილებ ყველას, ეს იყოს ბოლო და თუ ჩემი სახელი ვინმემ ცუდად მოიხსენია, სააკაშვილი ვიყო თუ „სტოპრო“ ცუდად არ წავუყვანო საქმე.

## ქინძის მონოლოგის გაგრძელება ხალხურ მოტივებზე

შემომეყარა მიშიკო,
საზღვარზე ოდესისასა,
ეტყობა, ფულ ნაყვარება,
მართმევდა ოქროს ქისასა.
–ფული თუ გინდა,- ვურჩიე-
მწვანისა დოლარისასა,
ყურმილ აიღე, დარეკე,
პარიზში კეზერისასა.
არ შემეპუა ეს ბეცი
და მაკკეინის გოშია,
ხმალი ვუქნიე, გაიქცა,
როგორც გარბოდა გორშია.
მეც გავედევნე რაშითა,
მცდელობა მქონდა ვნებისა,
წინ დამახვედრა ტიალმა,
ბრიგადა ზონდერებისა.
ავჩეხ-დავჩეხე ყოველი,
თავზე წავიკარ მიტკალი,
ისე გავხადე მტარვალნი
ვით აკეპილი ხინკალი.
მერე მეც ფეხი დამიცდა,
აფსუს, გაცუდდა რა ჯანი?!
მაშინ მომვარდა მიშიკო
გულში მატაკა ხანჯალი.
მეც ერთი გადავუქნიე,
ერთი წამ მეც ხომ მედირსა,
არ ვაპატიე ტიალსა
შერცხვენა ჩემ სახელისა.
„სტოპრო“ ვამთავრებთ სიცოცხლეს,
ტირიან ბიცოლ-ბიძები,
მე აქეთ ვკვდები, ის – იქით,
ორივე დავრჩით ქინძები.

ქინძის მონოლოგი ჩაიწერა
**გოგი გოგოლაძემ**



# საახალწლო იუმორი

პირველ იანვარს კაცი ეკითხება პოლიციელს:
_ ჰოგორ მივიდე სადგუჰამდე?
– პირდაპირ იარეთ.
_ ეჰ, ესეიგი ვეჰ მივაღ...

* * *

ფოსტაში წერილი მოვიდა. აწერია: „თოვლის ბაბუას!“ გახსნეს და კითხულობენ: – თოვლის ბაბუა! გწერს თორნიკე. მე სოფელში ვცხოვრობ,მთაში. აქ ცივა. გარეთ თოვს. ახალი წელია, მეკი გარეთ ვერ გავდივარ – არც თბილი პალტო მაქვს, არც თბილი ქუდი, არც ხელთათმანები და არც ჩექმები. თოვლის ბაბუა, გამომიგზავნე რა, გეთაყვა, თბილი პალტო, ხელთათმანები, ქუდი და ჩექმები!
ფოსტის თანამშრომლებს თვალები აუცრემლდათ. შეაგროვეს, ვისაც რა შეეძლო, მაგრამ ჩექმებზე აღარ ეყოთ. გადაწყვიტეს უჩექმებოთ გაეგზავნათ.
გადის ხანი. ისევ მოდის წერილი წარწერით „თოვლის ბაბუას“:
_ თოვლის ბაბუა, საჩუჰისთვის დიდი მადლობა! მაგჰამ ჩექმებმა ჩემამდე ვეჰ მოაღწია, ეტყობა ფოსტაში ამოიღეს..

* * *

._ ვინ იქნები საახალწლო მასჯახადზე?
– შრეკი.
_ ნიღაბი იყიდე?
– ჯერ არა, შენ ვინ იქნები?
_ მზეთუნახავი.
– ნიღაბი იყიდე?

* *

- მამიჯო, აბა, გამოიცანი, ჰომელი მატახებელი დაიგვიანებს ყველაზე მეტად?
- რომელი, შვილო?
- ჰომელი და... ჰომლის ჩუქებასაც შენ ჯეჰ ჯიდევ შაჰშან შემპიჰდი!

* * *

პატრული ავტომობილს აჩერებს გადაჭარბებული სიჩქარისთვის.
- ასე სად მიგეჩქაჰებათ? - ეკითხება ის მძღოლს.
- სახლში, ძმაო! მეგობრებთან ერთად ახალ წელს შეხვდი, შევყოვნდი და... სახლში ცოლი ნერვიულობს.
- ჰა ღჩოს ახალი წელია, მაისია უკვე!
- მეც მაგას არ ვიძახი?! ამიტომაც ვჩქარობ!

* * *

ორი მუდამ მშიერი ქუთაისელი სტუდენტი:
- მისმინე, ჯონდოია! მოდი, გოჭი ვიყოლიოთ, ჰა, ჰას იტყვი?! ვაჭამოთ, გავზაჰდოთ, სიმონ!.. ჰაცხა 4 თვეში ახალი წელიც დადგება და დავჯერათ, ჯაი მწვადი ვჭამოთ!
- რას ამბობ, შე ჩემა, დაფიქრდი, რამდენი ნაგავი და სიბინძურე იქნება!
- ე ბიჭო, მიეჩვევა, ჰა უჭიჰს?!

* * *

სატელეფონო გამოკითხვამ, ჩატარებულმა 1 იანვარს, დილით, შემდეგი შედეგები გამოავლინა: გამოკითხულთა 2 პროცენტს გაუჭირდა დადებითი პასუხის გაცემა, 3 პროცენტს გაუჭირდა უარყოფითი პასუხის გაცემა, დანარჩენ 95 პროცენტს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

* * *

თერთმეტს რომ ხუთი აკლდა, პარიკმახერს კლიენტი დაუჯდა. თავ-ყბა რომ მთლიანად გაუქაფა, კლიენტი მიხვდა, რომ პარიკმახერს ახალი წლის აღნიშნვა უკვე დაეწყო.
_ თქვენ მთვჰაღი ხაჰთ! მეშინია, შემთხვევით ყეღი ჰ გამომჭჰათ...
– ნუ გეშინია! შენ მარტო მაჩვენე, ნიკაპი სადა გაქვს...

* * *

წინასაახალწლო პერიოდია და პატარა კახელი მივიდა მამამისთან:
-მამი საახალწლოდ ფეხსაცმელებ ხო მიყიდინო?
-გიყიდი მა რას ვიზამ ჩვენი მოსკვიჩივით კუნძებზე ხომ არ დაგაყენებო.

* * *

კაცს ბაზარში მოლაპარაკე ბაყაყი შესთავაზეს და აყიდინეს. მიიყვანა სახლში. ეუბნება :
- ჰა?
- კვა!
- ჰა?
- კვა!
- ჰა "ჯვა"?
- აბა რა "ჰა"?

* * *

_ ბავშვებო, იცით, თოვლის ბაბუა ძუნწი ყოფილა!
– საიდან მოიტანე?
_ საიდან და იმის მაგივჰაღ, ჰომ თავისი საჩუჰები მოეტანა, ღედაჩემი ჰომ ჯაჰადაში თოჯინას ინახავდა, ის იპოვა და ნაძვის ხის ქვეშ დაღო!

* * *

თოვლის ბაბუა! მხოლოდ ერთს გთხოვ, გამომიგზავნე იმ გოგოების სია, რომლებიც წელს ცუდად იქცეოდნენ!..“

# "სასწრაფო და ყურადღებები"

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ადამიანების სიცოცხლის და ჯანმრთელობის. ისინი დაუღალავად არიან ჩვენს სამსახურში 24 საათის განმავლობაში. მათთვის ყველა საერო თუ საეკლესიო დღესასწაული სამსახურში იწყება და მთავრდება. და რადგან ახალი წელია, რადგან კეთილი სურვილების მიღების და გაცვლის დღეა, მათთან მისალოცად და იმ სახალისო ისტორიების მოსასმენად მივედი, რომელიც მათი პროფესიის თანმდევია. ხაშურის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი გილოცავთ შობა-ახალწელს, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებთ!

* * *

–ხაშურში სასაწრაფო სამედიცინო მომსახურების ოპერატორთან რეკავს მამაკაცი, მაღალი არტერიული წნევა მაქვს და სასაწრაფო დახმარების გამოძახება მინდაო. როდესაც ოპერატორმა გაიგო, რომ წნევა არც ისე მაღალი იყო და სასწრაფოს გამოძახებას არ საჭიროებდა, ურჩია კაპტოპრილი მიეღო. საღამოს ისევ ის მამაკაცი რეკავს: –მთელი დღეა კარტოფილს ვჭამ, წნევა ისევ იმდენი მაქვს და ახლა რა მივიღოო.

_გამოძახება გვაქვს სოფელ მინობში ხოდესაც ავედით, ხუთი ნასვამი მამაკაცი დაგვხვდა, ეთმანეთს ეყედებოდნენ. ვიკითხეთ, ვინ გამოგვიძახა-თქო და ჩვენო, აბა, აქედან ამ ფიოს ქალაქში ხოგორ ჩავიდოდითო.

–მორიგი გამოძახება გვქონდა ტეზრიდან, ექიმმა და ექთანმა დაამთავრეს პაციენტის გასინჯვა. ექიმი დაჯდა მძღოლის გვერდით. მძღოლმა ჩათვალა, რომ ექთანიც დაჯდა, დაქოქა მანქანა და დაბრუნდა ქალაქში.

_ღამის საათებში შემოიყვანეს მამაკაცი მიავლობითი მოტეხილობით, ესაჭიროდა ტრავმატოლობის ჩარევა. იმავამად ოჩი ტრავმატოლობი მუშაობდა ხაშურში პეტრე ბალდინოვი და პავლე ავაკიანი, ჩომლებიც ბინაზე იღებდნენ პასიენტებს. შენუხებული ახლობლები კითხულობენ, ვინ მოვა, ვინ მოვაო. მოჩიბე ექიმმა, ჩა ვისი, ან პეტრე მოვა, ან პავლეო. ბაბიჟდნენ ახლობლები _ დაბვსინიანო...

–ერთხელ ალიდან ერთი ნასვამი მამაკაცი წამოვიყვანეთ, რომელიც ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყო და ვერ ფხიზლდებოდა. მამაკაცს მთელი გზა სახეში ვურტყამდით, გონებას კარგავდა. გომში მოვიდა აზრზე, გაჩერება ითხოვა, ჩახტა მანქანიდან და გაიქცა. ერთი კვირის მერე ისევ გამოგვიძახეს ალში, იგივე ბრიგადა ჩავედით, ის მამაკაცი გარეთ იდგა. აი, ამათმა მცემესო, დაიყვირა და შეკრებილ ხალხს ჩვენზე ანიშნა. მაგათმა რა იციან, მკურნალობის ნაცვლად, იმდენი მირტყეს სახეში, მთელი კვირა საჭმელს ვეღარ ვჭამდიო.

_სასანჩაფოს მძღოლი ნასვამ მდგომარეობაში იყო, შემოვიდა ბამოძახება ეთი სოფლიდან. სასანჩაფოს ექიმი დაჯდა მანქანაზე და თვითონ ნავიდა. ყველაფერმა ჯაბად ჩაიარა. ჩამდენიმე ნნის შემდეგ მოდის საჩივარი, ჩომ ბამოძახებებზე მძღოლები დადიანო. მოვიდნენ შემონმებაზე. თუ თქვენი მძღოლები ასე ჯაბად მუშაობენ, მაშინ ექიმები ჩობოჩები იქნებიანო.

–ერთმა მამაკაცმა დიდი რაოდენობის ბენზინი დალია. გამოგვიძახეს. ექიმმა ჰკითხა, რა მარკის ბენზინი იყოო.

–ერთი ახალბედა მძღოლი გვყავდა. დარეკეს გამოძახებაზე, ოპერატორმა უთხრა, რომ დაგხვდებიანო. მძღოლმა ჩათვალა, რომ ექიმი იქ დახვდებოდა,დაქოქა მანქანა და ცარიელი წავიდა გმოძახებაზე. შემოეხვივნენ ავადმყოფის ახლობლები,

აბა ექიმი, აბა ექთანიო. გაოცებულმა მძღოლმა შეხედა, მეგონა თქვენ დამახვედრებდით ექიმსო.

_ნინა საახალწლო ღლეებია, ეთი ქალბატონი ბაზარში ბახდა სუდან. ღიაბნოზი დაისვა ნეჩვოზული ჯიზი, ოპერატორი ჯითხულობს, ებჩე ძვიჩია ხაშურის ბაზარი, ხალხს ნეჩვული შეტევები ენყებაო?

## პროექტის ემოციური დასასრული

2015 წლის 6 დეკემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა პროექტ "კინო სკოლაში" დახურვის ცერემონიალი, სადაც მოწვეულები იყვნენ იმ სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ამ პროექტში იყვნენ ჩართულნი საქართველოს ყველა რეგიონიდან, მათ შორის ცხრამუხის საჯარო სკოლის X-XI კლასის მოსწავლეები და კლასის დამრიგებლები, თამილა ხაჩიძე და ნუნუ გიგუაშვილი.

ღონისძიება გახსნა კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა ნანა ჯანელიძემ. სიტყვით გამოვიდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, თამარ სანიკიძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე. ღონისძიებაზე აჩვენეს მოსწავლეების მიერ დახატული ნახატები, შემდეგ კი მათი სცენარის მიხედვით გადაღებული რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი. გამოავლინეს გამარჯვებულები, რომლებსაც თავიანთი რაიონის ხელმძღვანელებმა გადასცეს საჩუქრები. დასკვნით ნაწილში აჩვენეს მერაბ კოკოჩაშვილის დოკუმენტური ფილმი, რომლის დამთავრების შემდეგ, ფილმის რეჟისორი და ფილმში მონაწილე მსახიობები გივი ბერიკაშვილი და კახი კავსაძე შეხვდნენ პროექტში მონაწილე მოსწავლეებს.

ღონისძიება იყო საინტერესო და ემოციებით სავსე. ყველა სკოლას, პროექტში ჩართულობისათვის, გადაეცათ სერტიფიკატი პროექტ "კინო სკოლაში" მონაწილეობისათვის.

## ყმლილრესი ადამიანები მსოფლიო ისტორიაში




ამერიკულმა ყოვერლკვირეულმა ჟურნალმა Time, მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე მდიდარი და გავლენიანი ადამიანების სია შეადგინა. გამოცემამ უმდიდრეს ადამიანებად შუა საუკუნეების სახელმწიფო მალის მმართველი მანსუ მუსა დაასახელა. ამერიკელი სპეციალისტების თქმით, მუსას მმართველობის პერიოდში მისი ქვეყანა ოქროს უდიდესი მწარმოებელი იყო, ამიტომაც მისი სიმდიდრის ზუსტი შეფასება წარმოუდგენელია. რეიტინგის მეორე ადგილზე აღმოჩნდა რომის იმპერიის დამაარსებელი ოქტავიანე. ეკონომისტების დათვლით იმპერატორის ქონება დაახლოებით 4, 6 ტრილიონი დოლარის ეკვივალენტი იქნებოდა. უმდიდრესი ადამიანების ლიდერებში მოხვდა ასევე ჩინელი იმპერატორი შენ-ცზუნი, რომელიც მე-11საუკუნებში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს მმართველი იყო. სიაში მეოთხე ადგილზეა აკბარ I დიდი, მონღოლეთის დიდი იმპერიის ფადიშაჰი, რომელსაც მსოფლიო წარმოების დაახლოებით მეოთხედი ეკუთვნოდა. მისი მმართველობისას ადგილობრივი ელიტა ევროპელ არისტორაკტებზე მდიდარი იყო.მეხუთე პოზიციაზე იოსებ სტალინი აღმოჩნდა, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდეს ეკონომიკას აკონტროლებდა. როგორც გამოცემა აღნიშნავს, იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირის სიმდიდრე პირადად მას არ ეკუთვნოდა, სტალინს ჰქონდა შესაძლებლობა, ემართა საბჭოთა ეკონომიკური ძლიერება. მეექვსე პოზიციაზეა ყველა დროის ყველაზე მდიდარი ამერიკული კომპანია US steel -მფლობელი ენდრიუ კარნეგი, რომელიც 372 მილიარდი დოლარის ქონებას ფლობდა (2014 წლის კურსით). მეშვიდე ადგილი დაიკავა ამერიკული კომპანია Standard oil-ის დამფუძნებელმა ჯონ რიკფერლერმა. მისი ქონება 1918 წელს 1,5 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული, რაც ახლანდელი კურსით 341 მილიარდი დოლარის ექვივალენტია. ერთ საფეხურით ქვემოთ მოხვდა რაინდი ალენ "წითური" რეფუსი. მისი გარდაცვალების მომენტში, 1093 წელს ის 11 ათასი გირვანქა სტერლინგად შეფასებული ქონების პატრონი იყო, რაც დაახლოებით 194 მილიარდი დოლარია.მეცხრე პოზიციაზე ყველაზე მდიდარი ადამიანი ცოცხლებშიბილ გეითსი. "ფორბსის" ბოლო დათვლით",მაიკროსოფტის" დამფუძნებლის აქტივების ღირებულებაა 78, 8 მილიარდი დოლარია. მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მდიდარი ადამიანების ათეულს ასრულებს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეომარი, მონღოლთა იმპერიის დამფუძნებელი ჩინგის-ხანი.

# რას მოუტანს მაიმუნის წელი სხვადასხვა წელში დაბადებულ ადამიანებს

**დამდეგი ახალი წელი, არამხოლოდ ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით, არამედ დაბადების კონკრეტული წლის მიხედვითაც გიმზადებთ სიახლეებს. დღეს სწორედ ამ ტიპის პროგნოზს შემოგთავაზებთ.**

**მამალი** (1945, 1957, 1969, 1981, 1993, 2005, 2017) მამლისთვის აქტიური წელიწადია. ამ წელს მოგიწევთ ხშირად წახვიდეთ დათმობასა და მსხვერპლზეც კი საყვარელი ადამიანების გამო. ასევე მოგიწევთ დიქტატურისა და სიხისტის შერბილება თუკი გსურთ, რომ ფინანსურ საკითხებში წარმატებას მიაღწიოთ.



**ძაღლი** (1946, 1958, 1970, 1982, 1994, 2006, 2018) მზად იყავით დიდი გამოწვევებისა და მარცხისთვისაც კი. თუმცა, მოკლე ვადით და დიდი გამარჯვება/რევანშის გარანტიით. ეს ის წელია, როცა თქვენი ცხოვრება ცნობილ ატრაქციონს - "ამერიკულ მთებს" დაემსგავსება. ასე რომ, ღვედი კარგად შეიკარით და წინ.

**ღორი** (1947, 1959, 1971, 1983, 1995, 2007, 2019) ერთ-ერთი დადებითი წელიწადი გელით წინ. შესაძლებელია, კარიერაში დიდი ნახტომი გააკეთოთ, ხოლო პირად ცხოვრებაში საბოლოოდ შეხვდეთ "იმ ერთადერთს". ამ წელს ნებისმიერი საქმის წამოწყებაა მიზანშეწონილი. გაიხსენეთ რა არის თქვენი "ჰობი", შეუთავსეთ ერთმანეთს სასიამოვნო და სასარგებლო.

**ვირთხა** (1936, 1948, 1960, 1972, 1984, 1996, 2008) მაიმუნი მეგობრობს თქვენთან, შესაბამისად, ეს წელი საკმაოდ აქტიური და პერსპექტიული გექნებათ. მოგეცემათ საშუალება დიდი ხნის ნანატრი და დაწყებული პროექტების დასასრულებლად. ზოგადად, ოცნებების ასახდენად. მოიპოვებთ სულიერ სიმშვიდეს, რომელიც ბოლო წლებში გაკლდათ.

**ხარი** (1937, 1949, 1961, 1973, 1985, 1997, 2009) რთული, თუმცა ჭკუის სასწავლებელი და საინტერესო წელი გელით წინ. ყველაფრის მიზეზი კი თქვენთვის დამახასიათებელი პროგნოზირებადი ცხოვრების სიყვარულია. ხოლო მაიმუნს სიურპრიზები უყვარს, შესაბამისად, არ მოგაკლებთ მოულოდნელ ცხოვრებისეულ მოვლენებს.

**ვეფხვი** (1938, 1950, 1962, 1974, 1986, 1998, 2010) ახალი იდეების დაბადების, ჰორიზონტების გაფართოების წელია. მაიმუნი ხელს შეგიწყობთ კრეატიული გეგმების განხორციელებაში, თუმცა წარუმატებლობასაც უნდა მოთმინებით შეხვდეთ, თუ გინდათ, რომ ფორტუნამ ისევ გაგიღიმოთ წლის მანძილზე.

**კატა-კურდღელი** (1939, 1951, 1963, 1975, 1987, 1999, 2011) თქვენთვის დამახასიათებელი ლავირების უნარის დახმარებით, შესაძლოა თავი მარტივად დაიძვრინოთ ამ წელს წარმოქმნილი მოულოდნელობებიდან. თუმცა, მაიმუნის წელი საკმაოდ მშფოთვარე და არაპროგნოზირებადი იქნება. რაც დიდ ნებისყოფას მოითხოვს თქვენგან. მოერიდეთ მედიატორის როლს და ნაკლებად ჩაერთეთ კონფლიქტებში.

**დრაკონი** (1940, 1952, 1964, 1976, 1988, 2000, 2012) მაიმუნის წელში მოგიწევთ გულთან ზედმეტად ახლოს არ მიიტანოთ კრიტიკა. შესაძლოა ამ წელს საკუთარი უპირატესობის დაცვა აქტიურად მოგიხდეთ. არც ის არის გამორიცხული, რომ სხვების ხუშტურებს ემსხვეროლოს თქვენი რეპუტაცია. "ოქროს შუალედის" თემა აქტუალური იქნება. ეცადეთ, იყოთ ლოიალური, მომთმენი და დიპლომატი.

**გველი** (1941, 1953, 1965, 1977, 1989, 2001, 2013) მოქნილობისა და წინდახედულების გამო, რომელიც გაგაჩნიათ, მარტივად იპოვნით გზას მაიმუნის საამებლად. წელიწადი ცვალებადობითა და არაერთგვაროვანი მოვლენებით გაგახარებთ. შეეცადეთ არ გამოიჩინოთ ზედმეტი ცნობისმოყვარეობა და არასოდეს ჩაერიოთ თუნდაც კეთილი გულით სხვების საქმეებში.

**ცხენი** (1942, 1954, 1966, 1978, 1990, 2002, 2014) წინა წლებთან შედარებით ეს წელი მშვიდი და მონოტონური მოგეჩვენებათ. თქვენში არსებული დიპლომატიურობისა და კომუნიკაბელურობის გამო, მაიმუნის წელში, ფაქტობრივად, არ გელით გადაუჭრელი პრობლემები. წინ თავბრუდამხვევი რომანი ან ქორწინება გელოდებათ.

**ცხვარი-თხა** (1943, 1955, 1967, 1979, 1991, 2003, 2015) თქვენთვის წლევანდელი წელი ოჯახის წევრების და ახლო მეგობრების ცხოვრებაში ჩართულობას მოიტანს. მოგიწევთ მეტი ყურადღება დაუთმოთ მათ. შესაძლოა მოგეჩვენოთ კიდეც, რომ საკუთარი ცხოვრებით ვედარ ცხოვრობთ, თუმცა გამოჩენილი გულისხმიერება და სიკეთე სამომავლოდ ერთიორად დაგიფასდებათ.

**მაიმუნი** (1932, 1944, 1956, 1968, 1980, 1992, 2004, 2016) ეს წელი თქვენი წელია! შესაბამისად, აუცილებელია, რომ ცხოვრებაში მეტი კრეატივი და "ექშენი" შეიტანოთ. შეცვალეთ ცხოვრების წესი, იმიჯი ან პროფესიული საქმიანობა. მაიმუნის ენერგეტიკა ყველა წამოწყებაში წარმატებას გპირდებათ.

## მცირე საგრანტო პროექტი "წვიმოეთი"

USAID PH international ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

თანამედროვე ეპოქაში ყოველ ადამიანს სჭირდება საკვანძო კომპეტენციათა ფართო დიაპაზონი, რათა მოქნილად აუღოს ალღო სწრაფად ცვალებად და ძალზე ურთიერთგადაჯაჭვულ სამყაროს. განათლება მისი ორმაგი სოციალური და ეკონომიკური როლის გამო, უმნიშვნელოვანესი იქნება თუ ადამიანებს ამ ცვლილებებთან უმტკივნეულოდ ადაპტირების შესაძლებლობას მისცემს საკვანძო კომპეტენციების დაუფლების საფუძველზე. სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები ის კომპეტენციებია, რომლთა განვითარებაში განუზომლად დიდია სკოლის როლი. სამოქალაქო განათლების გაკვეთილები, სხვადასხვა სოციალურ პროგრამებთან ერთად სწორედ ამ საქმეს ემსახურება.

ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა HP international (USAID) სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს თანამედროვე სკოლაში, სამოქალაქო განათლებას გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას მცირე გრანტების გაცემის გზით. მცირე გრანტები გაიცემა მოსწავლეების შემოქმედებით ინიციატივებზე, რაც დაეხმარება მათ ჩართვას ადგილობრივი თემის პრობლემების გადაჭრასა და სამოქალაქო ინიციატივებში და აამაღლებს მოსწავლეების მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პროგრამის „მომავლის თაობა“ 480 პარტნიორი სკოლის მოსწავლეებს, სასკოლო სამოქალაქო კლუბებს, სამოქალაქო განათლების პედაგოგებსა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მოსწავლეთა ჯგუფებთან ერთად.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან სამოქალაქო განათლების პროგრამაში „მომავლის თაობა“ აქტიურადაა ჩაბმული 3 სკოლა, რომელთა შორისაა ივანე ხრიკულის სახელობის ხცისის საჯარო სკოლა. მეორე სასწავლო წელია, ხცისის სკოლა წარმატებით ახორციელებს საკლასო პროექტებს, აწყობს სასკოლო თეორიულ კონფერენციებს, შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან და ა.შ.

მიმდინარე სასწავლო წელს ხცისის საჯარო სკოლის მე-9 კლასმა მცირე გრანტების კონკურსზე წარადგინა პროექტი „ წვიმოეთი“. პროექტის მიზანია ხცისის თემის ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაცია. პროექტი მოწონებული იქნა და დააფინანსეს. პროექტის განხორციელებაზე პასუხიმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია საზოგადოება „ბილიკი“, რომელიც უდიდეს დახმარებს უწევს სკოლას პროგრამის ფარგლებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კოორდინატორის ლია გორელიშვილის და უშუალოდ პროექტის კოორდინატორის მაკა სარიშვილის ძალისხმევა. ისინი ყოველთვის მზად არიან საჭიროებისას დახმარება გაუწიონ პარტნიორ სკოლას პროგრამის ფარგლებში.

პროექტს „წვიმოეთი“ ანხორციელებენ მე-9 კლასის მოსწავლეები: ბოგოზაშვილი თამარი, ზერებცოვი ხვიჩა, მაზიაშვილი სოფიკო, ტარიელაშვილი თინათინი, ციცქიშვილი გურამი, ჭანგურიძე ლანა. პროექტს ხელმძღვანელობს სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ნინო ღულაძე. მოხალისე თანამონაწილეები არიან ხცისის მკვიდრები გურამ ბერიძე, ნუგზარ თუმანიშვილი, მიწობის მკვიდრი გივი ზერებცოვი, ხცისის სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები, სკოლის დირექტორი ლელა ქვრივიშვილი და სხვ. პროექტის მხარდამჭერია სასოფლო თემიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებული ხცისის თემში ზაზა ჯიქურაშვილი.

პროექტის განხორციელების ვადებია: 11/11/2015 -11/02/2016წ.

ახლახანს, პროექტის განმხორციელებელთა ჯგუფი მენეჯერთან და რამდენიმე მოხალისე თანამონაწილე მოსწავლესთან ერთად შეხვდა ხცისის თემის ხელისუფლების წარმომადგენლებს ზაზა ჯიქურაშვილს (გამგებლის წარმომადგენელი) და ზაურ ციცქიშვილს (გამგებლის წარმომადგენლების საქმიანობის ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტი), გაცნეს პროექტის არსი, მიზნები და მოლოდინები, განხორციელების ეტაპები და ვადები. მათ მხარდაჭერა გამოთქვეს პროექტის მიმართ და დახმარება აღუთქვეს მოსწავლეებს საჭიროების შემთხვევაში.

7 დეკემბერს მე-9 კლასის მოსწავლეებმა მოხალისე მე-10 კლასელებთან რომეო ბლუაშვილთან, მარიამ ჯიქურაშვილთან, თამაზ ბიჭიკაშვილთან, გიორგი ახალკაცთან, ხატია ლომიძესთან , პროექტის მენეჯერ ნინო ღულაძესთან და ხცისის მკვიდრ გურამ ბერიძესთან ერთად დაგეგმეს გზის მარშრუტი ხცისისა და კრისხევის მიდამოებში, გაინაწილეს მოვალეობები, მოამზადეს საჭირო აღჭურვილობა, საწვავი და 8 დეკემბერს, 13 და 14 დეკემბერს მოიარეს ხცისისა და კრისხევის ტერიტორიები და მოამზადეს საჭირო ვიდეორესურსი.

18 დეკემბერს მოსწავლეები ეწვივნენ წვიმოეთის ნათლისმცემლის მონასტერს და გააკეთეს მისი ისტორიისა და აწმყოს შესახებ სიუჟეტი.

პროექტი გრძელდება....

ლია ლონღაძე

# საყვარი ხეობების ფოტოხელოვანი

არჩილ სუთიაშვილი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფოტოხელოვანია. მისი სურათების ნახვის შემდეგ ნამდვილად დავრწმუნდი მის ნიჭიერებაში. არჩილის გადაღებულმა სურათებმა საოცარი ემოცია გამოიწვია ჩემში. უფრო მეტად კი, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მისი შთაგონების წყარო, უმეტეს წილად, ჩვენი რაიონის ულამაზესი პეიზაჟები გამხდარა. განსხვავებული აღქმა სჭირდება ამ სილამაზესაც და შემდგომ სურათზე აღბეჭდვას, რომელსაც ერთი შეხედვით, თითქოს ყველა ხედავს.




**– სრჩილ, მოგვიყევით თქვენ შესახებ, რას სწქმიანობთ?**

– დავამთავრე ქვიშხეთის სკოლის ცხრა კლასი. შემდეგ კოლეჯი – თბილისში. მოგვიანებით უკვე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ვსწავლობდი. ამჟამად, სურამის III საშუალო სკოლაში ვმუშაობ ფიზკულტურის მასწავლებლად.

**– ფოტოგრაფიით როდიდან დაინტერესდით?**

– ფოტოგაფიით ბავშობიდანვე დავინტერესდი. ხატვა მიყვარდა ძალიან, თუმცა ცუდი პერიოდი დაემთხვა, 90-იანი წლები და ვეღარ მივყევი. ხატწერაზეც დავდიოდი გარკვეული პერიოდი და სახლშიც მაქვს რამდენიმე ჩემი ნამუშევარი. აქედან გამომდინარე, ფოტოხელოვნებაც ძალიან მომწონდა.

**– ძირითად ღამაზი სურათებია, ძირითადად** ბუნების პეიზაჟები, სახასიათო სურათები თუ გაქვთ?

– კი, მაქვს სახასიათო სურათებიც, თუმცა დასამუშავებელია და ჯერ არ გამომიქვეყნებია. არის ფოტოები, რომლებსაც კორექცია არ სჭირდება, მაგრამ არის სურათები, რომლებიც მინიმალისტურ დამუშავებას საჭიროებს. ჩემთვის სურათში მთავარი მაინც შინაარსია. შავ-თეთრი სურათებიც ძალიან მომწონს. თუმცა, გადაღების დროს ყოველთვის ფერად სურათებს ვიღებ, შემდეგ გადამყავს შავ-თეთრში, ასე უფრო უკეთესი სურათები გამოდის.

**– კამერა ყოველთვის თან გაქვთ?**

– ყოველთვის - არა, მაგრამ უმეტესად - კი. ყოფილა შემთხვევა, რომ კარგი კადრი იყო, ფოტოაპარატის უქონლობის გამო, ვერ გადავიღე და გული დამწყდა. მას შემდეგ ვცდილობ, სულ თან ვატარო.

**– სურათის გადაღების გამო ექსტემალურ სიტუაციაში თუ ჩავარდნიხართ?**

– მახსენდება ერთი შემთხვევა. დაახლოებით სამი წლის წინ, კამერა ახალი ნაყიდი მქონდა, გამოცდის პროცესში ვიყავი, ვცდიდი კამერასაც და ჩემ თავსაც, ბევრ სურათებს ვიღებდი. ჩვენ სოფელში მდინარე ჩამოდის, გადავწყვიტე სათავესთან ავსულიყავი და სურათები გადამეღო. მარტი იყო და საკმაოდ ციოდა, თოვლი იყო ჯერ. გადავიღე რამდენიმე სურათი და, რატომღაც, მოვინდომე მდინარის მეორე მხარეს გადასვლა, ვიფიქრე, იქაც გადავიღებ-თქო, მდინარე ადიდებული იყო და ჩავარდი გაყინულ წყალში. ერთადერთი რაც მოვახერხე, კამერა ამოვწიე, რომ არ დამსველებოდა.




**– რამდენიმე ქორწილის სურათიც ვნახე, გაქვთ ქორწილიდან მოხვევები, როგორც პროფესიონალ ფოტოხელოვანს?**

– კი, მაქვს მოწვევა ქორწილებიდანაც, საკმაოდ საპასუხისმგებლოა და ყოველთვის ვცდილობ, მთელი ჩემი ძალები ჩავდო ამ საქმეში. მიყვარს ხელოვნება, ფოტოგრაფია და მაინც ვცდილობ, ჩემ თავზე ვიმუშაო, თვითგანვითარებას ვეწევი.

**– დღეს, ჩვენს მკითხველს ღამაზ, სასახლენო კადრებს ვთავაზობთ, რომელშიც თქვენს მიერ „ღმოჩენილი"-პეიზაჟია გამოყენებული. როდის გადაიღეთ ეს ფოტო?**

– ორიოდე წლის წინ. ქვიშხეთში თოვლი არ იყო, მაგრამ მთაწმინდა სულ თოვლით იყო მოფიფქული. ვიფიქრე, ლამაზ პეიზაჟს „დავიჭერდი" და ავედი მთაწმინდაზე. ვფიქრობ, არ გამოვიდა ურიგო. თანაც ესაა, ასე ვთქვათ „თვითნაბადი" პეიზაჟი – ყოველგვარი დამუშავების გარეშე. ამიტომაც, მეც ძალიან მიყვარს ეს ფოტო.

საუკუნეების მანძილზე იხვეწებიდა და ვითარდებოდა ფოტოგრაფია, როგორც ხელოვნების დარგი. და მაინც რამდენი კადრი მოხვდა ამ პატარა ობიექტივში. კადრი, რომელიც მთელ ეპოქებს იტევს. ერთი წამის გაჩერება და შენს ხელში, შესაძლოა ნამდვილი საგანძური აღმოჩნდეს.

იყო დრო, ჩემს პატარაობაში, როდესაც საგანგებოდ გამომაწყობდა ხოლმე დედა და სურათის გადასაღებად წამიყვანდა. მე კი სულმოუთქმელად ველოდებოდი ჩიტის გამოფრენას.

დღეს სურათების გადაღება ყველას შეუძლია, მაგრამ სიღრმეებში შეჭვრეტა - ცოტას. ამ მხრივ, მე პირადად მოხარული დავრჩი, არჩილთან შეხვედრით, დავრწმუნდი, რომ ხაშურშიცაა ნიჭიერი ფოტოხელოვანი, რომლის გადაღებული პეიზაჟების დამახასიათებელი ხელწერა ნამდვილად მოგხიბლავთ.

**თ. ახალაია**

## ვულოცავ!

**გულოცავ ქეთი ჩაღუნელს** დაბადების დღეს.

ჩემო იმედო, ჩემო სიხარულო, ჩემო პატარა ტიკტიკა, გილოცავ ორი წლის იუბილეს. მიყვარხარ უსაზღვროდ და მინდა, მთელი შენი სიცოცხლე ბედნიერებით იყოს აღსავსე. მუხლმოდრეკილი მეოხად დავუდგები უფალს, რომ ასეც მოხდეს. წმინდა მარიამი გფარავდეს მუდამ!

გკოცნი და გეფერები!

შენი პაპა ტუხია ჩაღუნელი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის" ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.